ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №944403

ნომერი: AR1164155

თარიღი : 24.09.2013

გაცემის თარიღი : 22.10.2013

გაცნობის თარიღი : 23.10.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უზნაძე , N 70 , (ნაკვ.10/21) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმა

შინაარსი: ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, უზნაძის ქ. #70 (საკადასტრო კოდი #01.13.08.010.021) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2013 წლის 01 ოქტომბერს საცხოვრებელი უბნის მოსაწყობად გაიცა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება #908119 მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.13.08.010.021;

#AR1164155 24.09.2013წ. განაცხადის საფუძველზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების საკითხი განხილული იქნა საქ. კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის–ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს–გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს სხდომაზე

(ოქმი #38 24.09.2013) და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე (ოქმი #38 26.09.2013 წ.), რომელზედაც მიიღო დადებითი რეკომენდაცია. #38 26.09.2013 ოქმის საფუძველზე 2013 წლის 09 ოქტომბერს გაიცა ქ. თბილისის მერის #2156 განკარგულება ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, უზნაძის ქ. #70–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.13.08.010.021) საცხოვრებელი უბნის მოსაწყობად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების თაობაზე.

განმცხადებელი: შპს „არტსტუდიო პროექტი“ –ის წარმომადგენელი ქეთევან ფანცულაია
ავტორი: საპროექტო ორგანიზაცია შპს „არტსტუდიო პროექტი“ გ. სულაბერიძე, ლ. ყავლაშვილი, ლ. ჩიქოვანი
საფუძველი:
AR1164155 24.09.2013 განცხადება
საკადასტრო გეგმა: #01.13.08.010.021 სარეგისტრაციო #882012002083 11.01.2012;
ამონაწერი საჯარორეესტრიდან: სარეგისტრაციო#882013233121 23.05.2013;
-ქ. თბილისისმერიისსსიპთბილისისარქიტექტურისსამსახურისმიერ გაცემული განაშენიანების რეგულირებისგეგმისგეგმარებითიდავალება#908119 01.10.2013
–საქ. კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის–ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს–გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს სხდომის ოქმი #38 24.09.2013
- ქ. თბილისისტერიტორიებისგამოყენებისადაგანაშენიანებისრეგულირების საკითხთაკომისიისსხდომისოქმი#38 26.09.2013წ.
- ქ. თბილისისმერის#2156 09.10.2013 წ. განკარგულება;

გრგ-ს საპროექტოტერიტორიისფართობი:	11034 კვ.მ		
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი:	5680 კვ.მ	კ1=0.5	
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის ფართობი:	19940 კვ.მ	კ2=1.8	
მიწის ნაკვეთის გამწვანების ფართობი:	1200	კვ.მ	კ3=0.1

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს შპს „არტსტუდიო პროექტი“–ის წარმომადგენლის ქეთევან ფანცულაიას AR1164155 24.09.2013 წ. განცხადება;
2. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, უზნაძის ქ. #70–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.13.08.010.021) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი .
3. საპროექტო ტერიტორიის განვითარება მოხდეს შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესაბამისად;
4. ინდივიდუალური მშენებლობის სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს, როგორც საპროექტო ტერიტორიის ზოგადი გეოლოგია, ასევე შესაბამისი სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიური დასკვნა.
5. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ტოპოგრაფიული გეგმები მ 1:500; (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით);
6. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიაზე არსებულ საინჟინრო კომუნიკაციებთან სამშენებლო ნორმების დაცვის შესახებ ცნობები შესაბამისი სამსახურიდან;
7. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გამიჯვნის სქემის შესაბამისად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო ერთეულები;

8. ხის მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში აღებული იქნეს შესაბამისი ნებართვა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან;
9. წინამდებარე ბრძანება განხილულ უნდა იქნეს #908119 01.10.2013წ. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.